



სვანეთიდან ს. მწუხარო ამბავი მოგვიცა -
და იქ გარდაცვლილს ჩვენი საუკეთესო
ამხანაგები

ნ. მ. ბ. პირველი

და

კ. დევიდსონიანი

დღეს, საღამოს 5 საათზე, სამხრეთო განყოფილებაში (სასახლის ქუჩა, 6)

დანიშნულია

ჩვენი ჰარტის ახალგაზრდების საერთო კრება.

ს. კ. კვიციანი

წაიკითხავს მოხსენებას ჩვენი ტაპტივის შესახებ.

„ახალი ძალა“

ზღვის სივრცესთან ჯერ მთლიანად არ ამოგორებულია გულსავსე რგოლი, რომელსაც, მთლიანი საქართველო“ ეწერია...

ქართველთა თვალის შუქს ჯერ განწმენდით არ წარმოსდგომია ლამაზი ქაბუკი, რომელიც ახალი ძალით არის აღსავსე...

ზღვაში დასაღუბად ჩანარცხებული რგოლი ახალი ძალით მხოლოდ ეხლა უახლოვდება დაშორებულ ნაპირებს...

ვადსაგვარებლად ჩირქმაცხებული ქაბუკი სხვა სახეობას იშლის და ქვეყნის წინაშე მზიურობით წაჩხვინებულ ემზადება...

პირველიც და მეორეც—ერთი სხეულის ერთი სულია... მათი უერთმანეთობა შეუძრულებელი ოცნებაა... ჩვენი რწმენის ყოველი ნაკეთი აშკარად გვაჩვენებს, რომ პირველიც და მეორეც ქვეყნის გულს მოიგებენ...

ისინი დღეს ახლად იზრდებიან... მათში ახალგაზრდული განცდა და სული ვითარდება, ისინი უძლიერეველ ძალად იქმნებიან...

თუ არის ვინმე, ვისაც სამშობლოს დამცველი ახალი ძალა უნდა მხენდოდ მიიჩნია, ვისაც თავისი კუნთები სხვა ქენილების გაძლიერებისათვის სურს,—იგი ამ გვარ აზრებისაგან უნდა განთავისუფლდეს და თავისი შეძლება ერის კეთილდღეობის შემქმნელ ძალას შეაღიოს, შეუერთოს...

და ასეთი „ძალა“—კი უკვე არსებობს... იგი ერის გადაგვარებით სფლის დროს დაიბადა... ამ ახალ ძალამ თავისი სახე გამოიჩინა... თუმცა იგი ჯერ სავსებით არ გამოკვეთილა...

ახალი ძალა—ერის დამღუპველ მორევს გასცურავს...

ახალი ძალა—სამშობლოს მტრობისათვის ყველას მოიმღურებს...

ახალი ძალა—სამშობლოს სიმდიდრისათვის დაიწყებს მოიკრებს... იგი ჰხედავს, რომ ამ უმაგალითო დროთა სრბოლაში საქართველოს გაჯავული სახე აქვს, მაგრამ, ამავე დროს, სწამს კიდევ, რომ მის სივრცეზე არის ზოლები, რომელსაც ჯერ გმირთა სისხლი არ მოხდერია... და ეს ზოლები კი სისხლით დაღებება მაშინ, როცა მთელი საქართველო გასწყდება...

ახალი ძალა კი—საქმეს აქამდე არ მიიყვანს...

გულსავსე რგოლად გამოსახული ჩვენი ქვეყანა შეგების ნაპირს უახლოვდება...

ლამაზი მზე-ქაბუკი მალე შეიქმნება ქვეყნის სიწმინდის გამომსახველი...

ახალი ძალა—ამ გვარ ვითარების მერცხალია... იგი გვიახლოვებს სიამის დღეებს...

მის, ზმრხმულიძე.

ჩვენი მრწამსი.

ახლო წარსულ ისტორიის ფაქტები გვასწავლის, რომ, ერი როგორც მთლიანი მოვლენა ცხოვრებაში კრიტიკიულად უძვეეს მთელი ხალხის ჯგუფურად დაყოფას. თანამედროვე გამწარებული ბრძოლა მთელი ქვეყნის თითქმის ყველა სახელმწიფოებისა არის ბრძოლა წმინდა ეროვნული და არა კლასიური. დღევანდელ სამკედრო—სახელმწიფო ბრძოლაში, კლასობრივი იდეალები იმ დიდება და უკანა ხაზზედ გადადის. წინა ხაზზედ დღეს ეროვნული იდეალები იქერს ადგილს. ერის მთლიანი სახის; ეროვნულ სახელმწიფოს, ტერიტორიის, ენის და მის კულტურის მთლიანად შენარჩუნება და ხელშეუხებლობა არის ქვეყნის სარჩენი თვითველ ერისა, რომელიც კი ჩართულია დღევანდელ ომში. ის იდეალები და ოცნებანი რომლითაც ცხოვრობდა და რომელთავე მიისწრაფვიდა ყოველი ას წლობით ტანჯული ერი, გამოაშკარავდნენ. დაინგრა მონობა და მოხდა ობიექტაცია ისი და ათას წლიან იდეალებისა. ეროვნულმა იდეალებმა გაიმარჯვეს—ქვეყნის სარჩენი გაიტანა და გზა ჰპოვა.

მარტო თანამედროვე მომენტი არ გვასწავლის ამას. მთელ ჩვენ ისტორიის რომ თვალი გადავლოთ თქვენთვის აშკარა იქნება ეროვნულ იდეალების და თავისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა, ინსტიქტი ეროვნული თავდაცვისა წინათაც ამოძრავებდა ყოველ ერს. ყველა თავის თავს რჩებოდა, ყველა ცალკე ცხოვრებას არჩევდა. მთელი ისტორიის სივრცეში ქრისტეს წინათაც და შემდეგაც არ ყოფილა ისეთი ისტორიული პერიო-

დი, რომელშიაც მთელი ხალხი ყოფილყო მოქცეული ერთ მთლიან სოციალურ ფორმაში. არსებობდნენ თავსებურ ფსიხიძის მატარებელი ჯგუფები, რომელიც შემდეგ დეჟულობს დღევანდელ ერის სახეს.

ანით ჩვენ ეხმობთ ერთი ხსრიც: ხალხის გაერთიანება ერთ სოციალურ ფორმაში, რომელსაც ზოგი კაცობრიობას ეძახის და რომელიც გვწავს ჩვენ მხოლოდ. ესტრაქიკიაში შესაძლებლობასთან შორსა სდგას, სეორე მხრით ვამბობთ: ვარეშე ერისა და ეროვნულ სახელწოდებას ფორმისა არ არსებობს და არც ეარსებებს არც ერთი ფორმა სოციალურ პოლიტიკურ წყობილობაში.

ჩვენ გვწავს ერთი, როგორც ერთი მთლიანი და ყოველისაგან დაიპოვილებელი ორგანიზმი პოლიტიკურ სოციალურ ცხოვრებაში. ამ მოსაზრებით ვიცავთ ჩვენ ქართველ ერს, როგორც ერთ მთლიან ერთეულს, როგორც ერთს მკაფიოთ გამოკვეთილ ორგანიზმს. საქართველოს აწყობ და მომაველი, მისი აღმაშენებლობა, მატერიალურ და სულიერ კულტურის შექმნა, ტერატორიის, ენის და ისტორიის ხელშეუხებლობა არის ქვეშაირიტი საჯანი ჩვენი პრაქტიკულ ცხოვრებისა. ამ იდეალების გასამტიკეზლოთ ჩვენ გვწავს ორი ქვეშაირიტი საშუალება. პირველი: ეროვნულ ვაქრობა-მრეწველობის შექმნა და განვითარება, და მეორე: საქართველოს სუვერენული არსებობა. ამორ ქვეშაირიტი საფუძველზე უნდა მტიკეღებოდე საქართველოს ახალი ცხოვრება. ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება—გამაშუავეება და ვაქრობა უნდა ხდებოდეს ეროვნული ენერჯით. ამ სფეროში სხვა რომელიმე ერის გაბატონება და საქმის სათავეში მოკცევა სიკვდილი იქნება ქართველ ერისათვის. ამ მოსაზრებით ვიცავთ ეროვნულ კაპიტალის შექმნას და დავტოვებო, ეროვნულს ვე ბურჟუაზიის საშუალებით. ეროვნული ბურჟუაზია, რომელსაც ბევრი ებძვის აქ და სძულთ კიდევ, არის უპირველესი ფაქტორი ყოფი ერის სიმდიდრის დავტოვებს და მთლიანობის ხელშეუხებლობისა.

ვარეშე ამ მოყენებისა არ არსებობს არც ერთი ერთი, რაც გინდ პატარა ყოს იგი; ამ მოსაზრებით დამტკიცდნი ქართველი ერის და ეროვნულ ბურჟუაზიისა, მტრები ვარა და ვებრძვი იმათ, ვინც მტერია და ებრძვის ეროვნულ ბურჟუაზიისა. ვინც წახალმდგია ეროვნულ ბურჟუაზიისა და ან ვინც იზიარებს ამ აზრს ის თავის თავად მოზიარება თვით

ქართველი ერის დაქვეითების და დამარცხებისა. საქართველოს სუვერენული არსებობა და მის საკუთარ დავარგულ ადგილებს დებარუნება, აუცილებელ საქართველ მიგვაჩინა ვარეშე ამ მოყენებითა ერთი და მისი ვაქრობა მრეწველობა სამუდამოდ კვდება. ასეთი არის ჩვენი შ წამსი. ამისთვის ვებრძობებთ ჩვენ ჩვენი ახალგაზრდულ ენერჯი თ ყოველთვის და ყველგან. ამისთვის მოუწოდებთ ყველა ჩვენ იდგურ ამხანაგებს, მოგროვდნენ ჩვენ დროშის ვარეშე იდეურ ბრძოლისთვის.

გახთანე ზაალიზვი ი.

ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი .

ნათელ სხივებზე და ქარის ფრთებზე შევაშრილოთ ჩვენ ფარჩეული, ლოცვის სათქმელი დავტოვოთ ზარი, შემოვკრბეთ ერთად ყველა რჩეული. ლოცვის შემ ყველა ანთებულ სახით, და სიცხეს თ ამტყველდება: ანთებულ საწოლებს ვერვინ მაკვილობს. გვჯერა, სხე ჩვენი არ დაბნელებდა. დაღამდეს წამით და განა ამით სინათლის ალებს არვინ ინლოვებს?! მჩქეფარე სისხლი ვანკუნავს ჩვენ წყლულს; ვადგავიწყებს წარსულ შეცდომებს. ვესურს ცრემლის ტბაში ეამთა საქნელის ფრთა არ ასველოს თვალთყორნთ; რაზმა, ვესურს ჩვენ იარებს წითელი სისხლი ებკურებოდეს ვით აიხმა. ვესურს ცეცხლის ზვირთად, ცეცხლის შფრქვეველ მთათ, ჭუღის არეში ფეთქოს ბრახმა. და თვის სურვილში სხვა სურვლები დასწვას კოკონსედ ერის ექტაზმა, გრივალის ფრთებზედ, ნათელ სხივებზე შევაშრილოთ ჩვენ ფარჩეული და დროშით ხელში მოუხმით ლომებს გ ნვიმეოროთ ლექსი გნეული ვიტყოდეთ: ცეცხლის ოცნებაე ჩვენო მზეო, სხივთ ჩვენო, დიდება შენდა, ჩვენ ჩვენის ხელით დავტოვით ყლვებს, თუ ჩვენთვის დღესაც აღარ გათენდა.

გ. მამკალაშვილი.



ნიკა ნიკაიშვილი

ჩვენი პარტიის პირველი და მეორე კონფერენცია საბატო თავმჯდომარე გერმანიაში გაგზავნალი დელეგაციის წევრი.

ახალი კალა

დღეს ქართული საზოგადოებრივი აზრი, ისე როგორც თვით ჩვენი რეალური ცხოვრება, ორ უმთავრეს შტოად იყოფა: სოციალისტურ და არა სოციალისტურად.

სოციალისტებში ყველაზე ძლიერი და აქტიური მოქმედი სოციალ-დემოკრატია, არი არა სოციალისტებში — ეროვნულ დემოკრატია.

ჩვენებური სოციალ-დემოკრატები, როგორც საზოგადოებრივი ყველა ქვეყნის სოციალისტები, სახელმწიფოსთან ბრძოლაში, დაშლაში, მის სიმდიდრის დანაწილებაში, უკვე შექმნილის დანგრევაში, უფრო დაღს როოს თამაშობდნენ, ვიდრე მას აღმშენებლობაში, წარმოებაში და შემოქმედებაში.

თავდასვენებ მათთვის უცხო იყო სახელმწიფოებში ცხოვრებაზე ზრუნვა, თავანთ ძალა და ენერგია კლასთა ბრძოლის გაღვივებას შეაღიეს, რაც არსებობად ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრივობის პრინციპს რასაკვირველია ერთი კლასის გამოქონება და მართო მისთვის ბრძოლა, მეტად ცალმხრივი და ნაკლულოვანაა, მერე ისიც ისეთ კლასის, რომელიც ჩვენში ყველაზედ ნაკლებრიცხოვანია თავის შემადგენლობითა.

კლასთა ბრძოლის უკიდურესი დამცველნი ეროვნულ კლასთაუკაციათ უარზე აჯიღი არიან. მათ წარმოდგენაში ერთ მთლიანი, ორგანიული, ერთი ინტერესებით შეჭოქილი არ არსებობს. მათთვის ერთი დახარბილია კლასებთ, რომელთა შორის „სამკდრო — სასიცოცხლო“ ბრძოლა არსებობს...

სოციალ-დემოკრატებს, როგორც სოციალისტებს და, მამასაღამე, უარყოფელთ კერძო საკუთრებისას, ამ აოცლებელ თქარის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. დღეს საქართველოს რესპუბლიკის საქმე მთლიანად ხელში აქვთ ჩადებული.

ეროვნულ-დემოკრატები სწორად ამ შიშობა მოგზავნენ, ამ წინააღმდეგობად პათარენების და მოქმედების შეკლმავი თითიერ.

კერძო საკუთრებას პრინციპითიანად დამყარებენ; ჩვენ იმთავითვე სახელმწიფოებრივ თარის ვეცხოვრო. ეროვნულ სახელმწიფოს შემდეგ იყო დღეს და ძარღვი ჩინი მოქმედება. მას გარეშე თარში ჩინი იდათად თარ მადგინთ. აჩვიდ უკრავთ.

ერთი ჩინი გეშაითა და გეშაის. როგორც ერთი მთლიანი, ორგანიული დაკავშირებული არსება. ყოველი მისი ნაწილი ან კლასი მკედრო ინტანისობით არის შედგობებული, შიშობითა სხვა ნაწილებთან.

ერთი ინდივიდუალით თვისებათა შინაარსი ურყევია, მხოლოდ თარში მისი ვეყოლიდა. სახელმწიფოებრივ თარში იროვნული შინაარსის ჩადება იყო და არის ჩვენი მიზანი...

რუსეთის რევოლიუციამ თავის და ანებურად ამ მიზანს დაგვახლოდა და იროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეათა თქარად აქცია. საქარო იყო ამ თქარის გამომხატებელი. მისი მსგორობის ხელის შეწყობა. ექვი არ არის ოლოიურად რომ ვის მჯერდოდ; ინც თარდნევი პრინციპითიანად ეროვნებას მთლიანად იყოდა და სახელმწიფოებრივ ნიადაგზე იდგასი უნდა გმხდარიყო თარის მომკეში ჩვენი ხალხს მოძრაობისა.

მაგრამ როგორც რევოლიუციის დროს წარმოშობილი თქარი, ამ მოვლენას დასწყისიდანვე რევოლიუციონერი სიმბინჯინიც არ აქცია...

დღესდღეობა იტყვის თავისუფლებისა. ჩვენ ხალხს სოციალისტურ დაპირებებით იყო რა ინსტიტუტებ გაუღვივებს და გაუღვივანის მოსპობა ყოველ ჯურისი საკუთრებისა და მესაკუთრე სოფოად თუ ქალაქად; მიწაზედ თუ თუ ოზ დ შეადგენდა ყოველი სოციალისტ პრიაგანდისტის სენტრმეკალორ სიტყვის შინაარს. მთავა ძახილმა რევოლიუციის გაღვივებაზე უნაყოდ არ ჩაიარა და გაღვივებული რევოლიუცია ასისხლიანებულ ბოლშევიზმის სახით მოგვევლინა საქართველოს ყველა კუთხეში, რომლის ჩასაქრობათაც აუარებელი ეროვნული ენერგია დაიხარჯა!...

„რევოლიუციონერ პროლეტარს“ „რევოციონერა“ გლებიც ვაყყვა. ამას თავისი საბაბი ჰქონდა. გლებს მიწა უნდოდა და სოციალისტებიც ამ-

ის ასრულებას შეჰპირდნენ. ასრულების შესაძლებლობა ზედ ფიქრი არ უნდა და ჩვენ მიწის მუშას და არც აცლიდნენ ამას სოციალისტები. სოციალისტების და გლეხებს დროებითი სასიარულო გზები შეერთდნენ.

მაგრამ მიზნები მათი სხვა და სხვა იყო: ალექსე მული ქვეყანა სოციალისტებისა—სოციალიზმი და ალექსეული მხარე ჩვენი გოქისა—მიწის კერძო-საკუთრებათ შოგნა და მისი რაციონალურად დამუშავება—ერთ პლანეტაზედაც კი არა მდებარეობენ, არამც თუ ერთი და იქვე იყვენ.

დღეს ჩვენი მიწის მუშას, ჩვენი ხალხის გამოფხიზლების სიმტკომეზი უკვე მკაფიოთა სჩანს. მიწის სოციალიზაციის და მუნიციპალიზაციის მაგივრად იგი გამოსყიდვის გზას რჩეობს, როგორც ამას თვით ბ-ნი მიწად მოქმედების მინისტრი აღნიშნავდა. ყოველთვის „სოციალისტურ“ ტიპი მოვლენას ვღებუა „ბოიკოტებით“ უხვეებიან (ეროზის არჩევაჟი ზიყვი).

ერთი სიტყვით დღეს ჩვენი გლეხი აღარა „სოციალისტობს“, აღარც „ბოლშევიკობს“, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რასაკვირველია, ხელოვნურათ მოწყობილ უცხო ერთა მიერ შეტყულებას და აჯანყებას...

ამიერადან კერძო საკუთრების მოტრფალე გლეხებსა, რომლებიც დაახლოებით მწი/ი შეადგენენ ჩვენი ერისას და მას პრინციპიალურად დამცველ ეროვნულ-დემოკრატიებს შორის ინტიმური კავშირი იღვიძებს. ეს კავშირი არსებობდა რევოლიუციამდის, მაგრამ იმ საკვირველ დონეზედ არ იღვა რომელზედაც დღეს ჩვენ მიუთთებთ. ამის მიზეზი-ჩვენი პარტიის ახალგაზრდობაა. ხანმოკლე მუშაობა 1915—1917 წ. არ იყო საკმარისი, რომ მკიდროთ და შეგნებულათ დავკავშირებულყავით, როგორც ზვეითაცა ვსთქვა, ამას ხელი შეუშალა რევოლიუციის მსვლელობამ. დღეს კი, რაც ჩვენი ხალხი თავს ახწევს ქაოსურ მდკომარეობიდან და მოუწადანია „საკუთარი ფეხებით“ სიარული, დღეს, ვიმეორებ, გვმართებს გაღრმევა ამ კავშირისა მისი სახის ჩამოყალაბება. ინტიმური კავშირის მაგიერ შეგნებული და შეთვისებული დამოკიდებულება უნდა აღვადგინოთ. იქ იწყება ახალი ძალის პირველი ნახევრის გამოაშკარაება.

მეორე ნახევარს ქალაქის მრეწველნი და ვფარმოებელნი ჰქმნაან ერ აუნულა კვატაის დაბრო-

ვება, ეროვნული სიმდიდრას შექმნა ურომლისო-დაც თავისუფალ, თუ დამოკიდებულ საქართველოს არსებობა არ შეუძლიან, სწორეთ ამ მეორე ნახევრის ვალდებულობა, მისი მიზანი...

ეს ორი ნახევარი ჰქმნის ერთ მთლიან ახალ ძალას, რომელც შემდგეში დრმა კვალს გაავლებს ჩვენ ეროვნულ ცხოვრებას, ჩვენ კულტურას...

ეს ორი ნახევარი დიდი ხანია რაც რეალურადაც არსებობენ, განსაკუთრებით პირველი, მაგრამ დღეს ესენა სრულიად აღარ არიან, როგორც თავიანა შინაარსით, ისე აქტივობით.

ჩვენ ეროვნულ სახესაც ესენი მისცემენ შინაარს და ცხოველ მყოფელობას...

ამ ორნახევარის ერთ ეროვნულ დროშის ქვეშ შეგნებულათ დადგომა და მათ მიერ ამ დროშის დაცვა აქტიურად თუ პასიურად, და მათი მთლიან ორგანიულ ძალად გამოკვეთა ეროვნულ-დემოკრატიუა აზროვნების საფუძველს უნდა შეადგენდეს...

ახალი ძალის რეალურად არსებობას იურიდიული უფლებების მიმნიჭებელი აპარატც ესაჭიროება და ეს აპარატი იქნება საქართველოს მომავალი დამფუძნებელი კრება...

ბ. კ—ლი

თ ა მ ა რ ი .

სონეტი.

წინად აქ თამარს უძლიერევი ეყვანა საყდარა ..
შიშმა მოხარა ნუქარდინის ამაყი ქელი.

ლომგული ჯარი ფოლაღობდა რკ-ნად ნაქელი.
რაინდის თვალი არ უხილავთ ომში გამტყდარი.

თბილისის ქუჩებს ანათებდა მზე სხვი გათბარი.
შოთას შირი ცეცხლდებოდა ნესტანის ბედათ.
ნაზობდა თამარ ყელმოდერი, ვთ თეთრი გელი.

ელავდა ხმალი, მტერთა მღეწავ რისხვად
გამხდარი.

ხშირად ვარძაას ავედრებდა თამარა ლაშქ რს.
აქებდნენ დავათს, რომ ისმენდნენ შავთელის
ტკიბილ ქანას.

თამარის თვალი აღპასობდა, ტვერობდა მეყი
აღსრულდა, თამარ, ჩვენი ბედიც თან ჩაიტანა.
არვინ უხილავს საქართველოს თამარისთანა.
თამარ მხენ, უხვი, ერის თვალი და სიამყე...

ლადლო მამაბარბანი.



პროფ. ცაბარაძე

ჩვენს პარტიის პირველი კონფერენციის მიერ საპატიო თავმჯდომარე.

მთლიან საქართველო.

„როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

რ. ე.

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, თავისი დაარსებისთანავე, სხვა შორის, ორი მიზანი დაისახა: 1) საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და 2) მისი ისტორიულ ფარგლებში მოთავსება; მაშინდელ ჩვენი მიზანი იყო სრული სეპარატიზმი. მაგრამ იმ ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობების გამო, რომელთაც საზოგადოებრივი ცხოვრებაში სუფილელის გარდაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ, ჩვენი მიზნები ცოტა უნდა შეცვლილიყო, გარყვნილად მანც:—ჩვენ უბრალო ტერატორიული ავტონომიისაც დავუბუღდით. რასაკვირველია დროებით. (დამერწმუნეთ, რომ

ყველა ზოროტებათგან, სამშობლოსთვის სუყველთვის უწერეს ზოროტებას ვარჩევდით)...

გეროვის „ქანდაკის“, პატარა ერების განმანდგურებელი დიდი რუსეთი დაემხო, და მისი ნანგრევებზედ დაიწყო აღმოცენება პატარ-პატარა ერთეულებში, რომელთაც სიციცხლე სწყურდათ, რომელთაც სანთქე ესაქარებოდათ... ჩვენი სოციალისტების წინაშე წარმოიშვა დიდი: ნაციონალური, ან ინტერნაციონალური გზის გატარება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაში. მათ, როგორც სოციალისტებმა, აირჩია. მეორე გზა რუსეთთან დარჩენა, მისი ტანჯვისა და სიხარულის განაწილება. თავი ი სამშობლოს ტანჯვა-ვაება ისეთ უმნიშვნელოდ მიიჩნეს, რომ ყურადღების ღირსიც არ გახდეს. თუ რა საჩვენებლობა მოგვიტანა სოციალისტების მიერ ანარჩევმა გზამ, ამას ჩვენ დღეს ნათლად ვხედავთ.

გაეხსენოთ ბოლშევიზმი, გაეხსენოთ ბრესლიტოვსკა, დამუქმნებელი კრება, გაეხსენოთ ისიც, რომ, როდესაც რუსეთი საქართველოს საჯაროდ ჰყრდა, მაშინაც კი ჩვენი სოციალისტები იმედით და სასწოებით შეეცქეროდნენ რუსეთის დემოკრატიას. ჩვენ ვამხედდით მათ შეცდომებს, რომელია წყალობით ჩვენ მრავალ ტანჯულ საქართველოს ძირი ეთხრებოდა, მაგრამ უტოპიურ ლოზუნგებით გატაცებულა, ვაგება აღარაფრისა სურდათ... უსაშინელებსა საფრთხეში იმ კატასტროფამ, რომელიც განვიცადეთ ჩვენ ბათრთან და აწყურთან, გარეშე მიზნებმა და მრავალმა სხვაამა ჩამოაცალეს ჩვენი ქვეყანა რუსეთს, ჩრდილოეთს. ჩვენ ვავხდით დამოუკიდებელი ჩვენ ცხოვრებაში ამა-რად განხორციელდა ჩვენი პირველი მიზანი. რომელმაც ძლიან ბევრს გული მოუკლა, მაგრამ ბევრსაც გული სიხარულით აუღსო. განგება დამცინავია.. იგი ატრიალებს ქვეყნების ბედს ისა როგორც ეს მსა სურს. საქართველოს არსებობა, არარად გარდაიქცევა, თუ ჩვენ არ დავბრუნეთ ის ადგილები, რომელიც ჩვენ სხვა და სხვა კონფერენციებზე წავგვართვი. რა იქნება ჩვენი არსებობა უბათუმით, რომელიც უმშვენიერეს ნავთსაყუდრათ ითვლება, რა იქნება საქართველოს არსებობამ უხანაღობო-ახალქალაქით, რომელთაც მთელი ჩვენი ქვეყნის გამოკვება შეუძლიანთ; რა იქნება საქართველოს არსებობა უბაშბაკლორედ, ურომლისადაც ჩვენ დედა-ქალაქს თბილისს სუყველთვის სამხრეთით საფრთხე უნდა მოელოდეს.. და ეს

ადგილები ხომ ჩვენ წინაპართა ძელებით არის მოფენილი. ამი ზომაც ჩვენი მეორე მიზანი, მაშასადამე უნდა იყოს ამ ოლქების შემოერთება. კიდევ ვიმეორებ, თუ ეს ადგილები ჩვენ ვერ დავიბრუნეთ, ჩვენი ქვაყნის არსებობა არ არად გარდაიქცევა უდიდესი შეურაცყოფა, რომელიც საქართველოს ასე უსაშართლოდ მიაყენეს ბათუმის, ახალციხის და ახალქალაქის კედლებთან, გადახდილი უნდა იქნას... მთლიანი საქართველო! ეს უნდა გახდეს ჩვენ ღოზუნგათ, ჩვენ იდეალათ, რომლის განხორციე-

ლებსაც უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ფიზიკური თუ სულიერი ძალა და მონდომილობა და თუ, ახალგაზრდებო, სამშობლოს ძალით მოუხდა თვის დაკარგული ნაწილების შემოერთება, ჩვენ ამ სათვისაც მზად უნდა ვიყვეთ...

მაშ, გულის ფიცარზე აღიბეჭდეთ „მთლიანი საქართველო“...

გიორგი შიკაძე.



პოლიტიკური შენიშვნები.

I.

არა სოციალისტთა ბანაკში.

არა სოციალისტურ ბანაკშიაც მზდა დიფერენციაცია, დანაწილება სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებზე.

დღემდინ ერთ არა სოციალისტურ პარტიაში თავი მოეყარათ სხვა და სხვა ჯურის არა სოციალისტებს.

დღესკი ამ ერთ პარტიის სამ ნაწილად გაყოფით ყოველ არა სოციალისტს საშუალება ეძლევა თავისი ადგილი მონახოს და იმ პარტიაში ჩაერთოს, რომელიც მის აზროვნებასთან ანუ ზრახვეთან უფრო ახლოს იდგომება.

ეს მოვლენა ბევრს ჩვენს ამხანაგს სამწუხაროდ მიაჩნია; დაშლა ისეთის პარტიისა, რომელიც ეხლა იწყებს თავის ისტორიის ფურცლებს, შართლაც სამწუხაროა, მაგრამ ეს გათიშვა ანუ გაყოფა უფრო საგრძნობი იქნებოდა პარტიისათვის მაშინ, ეს რომ მის სრული განვითარების დროს მოხდარიყო. მაგრამ აქ უფრო სხვა მოსაზრებანი გვაქვს, რომელიც ძალაუუნებურად გვაფიქრებინებს რომ გაყოფა ანუ გამოყოფა „კლდის“ ჯგუფისა არამც თუ სამწუხაროა, არამედ სასარგებლოც კი არის პარტიისათვის...

განახლებული „საქართველოს“ მეორე ნომერში სპირიდონ კელია სწერდა:

პარტიას მოსდევს „მარქაფი ჯარი“ რომელიც ზოგჯერ მას დალუპვასაც უქაღისო, პარტიის მიზან-

ნია როგორმე განიწმინდოს ამისთანა „მარქაფი ჯარისაგან“.

ეს სრული სიმაართლეა და არა ერთი და ორი პარტიული მოღვაწე შეუფიქრებია ამისთანა „მარქაფი ჯარის“ გავლენას პარტიაზე...

სოციალ-დემოკრატთა ლიდერი ნოე ჟორდანია თავის 1906 წლის წერილებში სწერს: „სოციალ-დემოკრატთა ორის მხრიდან ჯტევენ— შიგნიდან და გარედან—და მას უპირობენ გადემოკრატებასაო“. ნათქვამია, „ციხე შიგნიდან გატყდებაო, და შართლაც თუ პარტია შიგნიდან არის გამაგრებული, მკვიდრ ნიადაგზე მდგარი გარეშე მტერი ვერას დააკლებსო“.

სინამდვილეს რომ დავაკვირდეთ, დღეს სოციალ-დემოკრატიული პარტია აღარ არის სოციალ დემოკრატიული, იგი მთელი თავისი ტაქტიკით და ახლობელი მიზნებით მხოლოდ დემოკრატიული, წვრილი ბურჟუაზიულია, და რამდენიც არა სტელილობენ მათი ლიდერები მოხსენებით თუ საპარლამენტო ბოდიშებით მისცენ მას სოციალ-დემოკრატიული სახე, იგი მიინც თავის გარეშე ვერ გადგება. მასში ფართოდ შეიქრა წვრილ-ბურჟუაზიული კლასები და იგი გადემოკრატდა. პრინციპების ასეთივე გამარჯვება ან კიდევ დამარცხება დაგვიკარდება ჩვენ, როცა პარტიაში თავს მოიყარის ისეთი ელემენტები, რომელსაც ჩვენთან მხოლოდ არასოციალისტობა აკავშირებს. ამ ორი პარტიის დაარსებით (დაშოუკიდებელ ნაციონალ-დემო-



მკვთიმი თაყაიშვილი

საქართველოს პარლამენტის პრეზიდენტის წევრი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი.

კრატები და რადიკალ-დემოკრატები) ჩვენი პარტიის იდეოლოგია თავისუფლდება იმ „აპკიდან“ რომელსაც ის უწევდა შემოხიზნულ კლასებს... დღედან პარტია თავისუფლდება. „იდეოლოგიურ კომპრომისებიდან“, ასე რომ, ამ ორი ჯგუფის გამოყოფას ჩვენი მიპართულებებისათვის არამც თუ არაფერი დაუხიანებია, არამედ მის გამწმენდ და ჩაოპყალიბებელ მოვლენადაც გადაიქცა.

იქნება „კლდის“ ჯგუფის „ეროვნული დემოკრატები“, როგორც გავიხსენებ პარტიიდან ისევე შემოვიდნენ, მაგრამ ერთი კი დარჩება, რომ შთაბეჭადვლამ საფუძველი ჩაუყარა ახალს მიმართულებას, ახალს პარტიას, რომელიც სრულებით არა ჰგავს ეროვნულ-დემოკრატიას. მისი მთელი მუშაობა, მისი შინაგანი ზრახვანი და აქნობამდე გამოშვებული რამდენიმე ფურცელი ნათლად გვაჩვენებს რომ საქმე გვაქვს აგრძობებს პარტიასთან. ვინ არიან ეს აგრძობები, როგორი ისტორია აქვთ მათ და როგორს წონას უდრის ის წონა, რასაც ეს პარტია დაიჭერს მომავალ ქართულ პოლიტიკურ პარტიათა შორის?

მათი იდეალების წინააღმდეგ ერთგვარი წარმოდგენაც შეძლება, თუ გავიხსენებთ რა მდგომარეობაში იყო ამისთანა პარტიები სხვა ქვეყნებში. დღევანდელ ჩვენებში დიდს და მნიშვნელოვანს პარტიას შეადგენს ჩებ-აგრართა პარტია. მისი წარმოშობას მიზეზი დროებითი ხასიათისა იყო,

იგი სოფლის მეურნეთა სიდატაკემ წარმოშვა და მათი ინტერესების დამცველ პარტიადაც გამოადოდა ყველგან, პარლამენტში თუ პრესაში. 1907 წელს თავის განვითარების უღრესს წერტილს მიახწია ამ პარტიამ და შემდეგ ადგილი დაუთმო მეორე არა სოცილისტურ პარტიას... ეს აღბად იმისათვის რომ იმ სოფლის მეურნეობამ, რომელიც მის „მარქაფ ჯარს“ შეადგენდა, დროზედ გაუგო თუ როგორი პარტია იქნებოდა მისი ინტერესების დამცველი აგრარები თუ სხვანა. ეს პარტია მუდამ იყო კლასიური და ამას არც უარსებობდენ მისი მეთაურნი...

ჩვენი აგრარების პარტიასა ჰგავს აგრეთვე გერმანიის აგრართა პარტია. თავის 1876 წლის პროგრამაში ისინი მოითხოვდნენ, რომ სახელმწიფოს უარყოფა ზრუნვა პოლიტიკურ მრეწველობისა და ფულის კაპიტალისათვის, რადგან ეს ზიანს აყენებს სოფლის მიწის მფლობელობასა... 1894 წელს დიდი განგაში ასტეხეს, რათა სახელმწიფოს გაედიდებინა გადასახადები განსაკუთრებით შემოსულ პურზე, და ოთხეკი — საქონელზე და ხეტყეზე. მათს ახლობელს მიზანს შეადგენდა და დღესაც შეადგენს მხოლოდ მეურნეთა კავშირის დაცვა. ასე რომ ეს პარტია გერმანიაშიც კლასიურია.

ჩვენი აგრარების გამოყოფას ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან რა-მე მიზანი უნდა ჰქონოდა. ეს თავდაპირველად არ იყო ადვილი, მაგრამ თანდათანობით კი მათ შესძლეს რომ ნაციონალ დემოკრატიული, სახელმწიფოებრივი, პოლიტიკა შეეცვალებათ აგრართა კლასიურ პოლიტიკად. ეს, კიდევ ვიმეორებ, ისე ნათლად არა სჩანს ჯერ და დედა-პარტიიდან თან გამოყოლილი ეროვნული იდეოლოგიის ინერცია არ აძლევს ამას უფართე სარბიელს, მაგრამ რომ საცადი უკვე გაწეულია, ამას ხომ კორესპონდენტებისადმი უბრალო მოწოდებაც ამტკიცებს...

მიუხედავად ამისა „კლდე“ მაინც ჩვენ გვიკეთნებს რომ სწორედ თქვენ ასცდეთ ნამდვილს გზას, სწორედ თქვენ უღალატეთ ზეკლასიურობის მიზანს, სწორედ თქვენი პარტია გადაიქცა „ბურჟუაზიულ“ პარტიადაო. ეს მოხდა იმისათვის რომ ჩვენ და კლდეველებს სიტყვა ზეკლასიური სხვა და სხვა ნაირად გვესმის.

ყოველ პოლიტიკურ პროგრამას აქვს თავისი მიზანი და ტაქტიკა. მიზნით ზოგი ემსახურება კლასს, ზოგი ერს, ჩვენ ჩვენი მიზნით ამ უკა-

ნასკნელს ვეკუთვნით. ეს სრულიად საკმარისია, რომ
ხატვას ეწოდოს ზეკლასიური

რაც შეეხება ტაქტიკას, იგი მხარს უჭერს
განავითაროს ისეთი კლასი, რომელიც ერის ხელი
იხარლია შეტევისა და თავდაცვისა. ზეკლასიური
და ეროვნული ტაქტიკა სრულიად არ მო თხოვს,
ხელი შეუწყოს ისეთის კლასების მეტად განვითა-
რებას, რომელიც ან დრო მოქმულია, ან კიდევ
ერს ანგრევს.

ერის ტაქტიკა, ზეკლასიური ტაქტიკაა და ეს
იმას კი არ ნიშნავს, რომ რომელიმე კლასის მე-
ტად განვითარებას ხელი არ შეუწყოს. ჩვენი
ტაქტიკა ხელს უწყობს ბურჟუაზიის განვითარებას.
მაგრამ ეს შის კლასიურობას სრულებით არ აღნი-
შნავს. კლასიურობა თუ ზეკლასიურობა დამყარე-
ბულია მიზანზე და არა ტაქტიკაზე.

ჩვენ ხელს უწყობთ ბურჟუაზიის განვითარებას,
მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ერი-
სთვის

მარქსისტული მოძღვრებაც ხელს უწყობს
ბურჟუაზიის განვითარებას, მაგრამ რომელიცთვის,
რომ სოციალ-დემოკრატიამ პროლეტარიატის ინ-
ტერესი მიწაში ჩაშარხაო. ასე რომ „კლდის“ ვა-
მოლაშქრება, რომ ჩვენ „ბურჟუაზიული“ პარტია
ვართ, რომ ჩვენ ყოველივე ზეკლასიური დავარ-
გეთ, არის მხოლოდ და მხოლოდ ზეკლასიურობა-
ზე არ გაგება, თუ ვერ გაგება.

ამ მხრივ სულ სხვანაირად უტყვირის საგანს
მეორე არა სოციალისტური პარტია, მათივე მონა-
თესივე.

გაცილებით აღრე, ვიდრე ჩვენ გავგვიჩნდებო-
დნენ შემარჯვენენი, გაჩნდნენ ეგრედ წოდებული
რადიკალები, რომელთაც არა სოციალისტთა შორის
სულ შემარცხენე ადგილი უჭირათ. ეს რადიკალ-
დემოკრატები, სიღრმეში რომ ჩაგხედოთ, არა რა
არაა, გარდა იმავე აგარაიებისა, მხოლოდ უფრო
დემოკრატიულ საშაველში ჩაცმულებისა...

გაისხნეთ ფინლიანდიაში მომქმედო პარტია
აგარაიების, რომეოსაც სოციალ-დემოკრატთა და
ბურჟუაზიულ პარტიების შუაში ამოუჩივიათ
თავიანთვის სკამები სეიმში და რომელთაგანაც
პირდაპირ გადმოხატა საქართველოს რადიკალ-
დემოკრატების ლიდერმა, ფანეთში ნამყოფმა, და-
თიკო ჩიქოვანმა თავისი პარტიის სახე. ეს უკანას-
კნელნი, როგორც უფრო რადიკალნი, გამბედავენ
აღმოჩნდნენ თავის შემარჯვენე ძმებზე და „ზეკლა-

სიურობის“ რეკლამა პირდაპირ მოურიდებლად
მოაგლიჯეს თავის პარტიის პროგრამას...

ამ რიგად არა სოციალისტთა ბანაკი დღეს
დაუფთავია სამ ვეუფად. მაგრამ სანამ სოციალი-
სტური მთავრობა გვევს და არა სოციალისტური
ელემენტები საკმაო ძალას არ წარმოადგენენ,
სანამ პარლამენტს არ დ უწყვია განხილვა და
დაკან-ნება იმ ბაჟებისა და გადასახადებ სა, რომე-
ლიც მიწის დაიდება სასულემწიფოს ნორმალურ მდგო-
მარებაში, სანამ ეკონომიური საკითხები ასე თუ
ისე გადაწყვეტილი არ არს, აი მნამდგ კიდევ
შეიძლება და აუცილებელიც არის ერთად სვლა
და სიმრთევე არა სოციალისტურა ფრანტისა.

ამ დროს განმავლობაში უნდა ეზადოს
ეროვნული დემოკრატია იმ მომენტისათვის, როცა
მოხდება სწორედ ეს, „ფრანტის დარღვევა“. უნდა
ეცადოს, რომ თავისი რაზმები გასწმინდოს იმისთანა
წვევებისაგან, რომელიც გარდამწყვეტ ხანაში
„ღებურტირებად“ გადაიქცევიან

გ. მერკვილაძე.

საგზოგლეხ საცხლით!

ომში დაკრალი იგრობა ვათამ მეტულ ლინინს სი-
სლოანბა ექსპერიმენტებმა ს განხებულ. მისც.

მან წითლად შეიღო ევროპას კარ და მით გამო-
არკვია „თავდავიწყებდ“ გარდაქმნილი დას-ვლეთი. ყ-
ლამ იგრძნო კატასტროფას მოახლოვება და ბრძოლს
ველზე გაბნეულმა ლაშქარმა სამშობლოსაკენ იბრუა პი-
რი.

თვითუელი ერი მხოლოდ და თავით გადა ჩენაზე
ფაქრობს.

ყველა ცდაშია თავი დააღწიოს მომავალ უბედობას
და აცდინოს ლინინს აჩრდილის საშიშროება. თვითუ-
ლი ერის შვილნი შეთანხმებულ ვზით იცავენ ეროვნულ
ინტერესებს და ეს მსოფლიო ომი ბოლოს და ბოლოს
ეროვნულ ხასიათს ღებულობს.

მეგრეან სამშობლოს სეყარულის იდეამ სძლია პი-
რად ბენიერების სურვილს და თვით მონარქმაც ხელი
აიღო ტრადიციით მიკუთვნილ ჯპირარესობაზე.
ქონებრავად და მდგომარეობით ძლიერნი ხელს უწყ-
ვიდან უძღურთ და ძმოხა ეფიცებიან.

მიზანი იმას ერთია.
თავიდან აცუნა ამ საბედისწერო სამოქალაქო
ომის, რომლის გარდატანა მხოლოდ მრავალ რიცხოვან
რუსეთს თუ შეუძლია.

ამ რიგად დღეს კულტურულ ქვეყნის ერნი სამშობ-
ლოს გადაჩენისთვის ერთ ლოზუნგ ქვეშ ირახმებიან-
„სამშობლო სიყვარულის ცეცხლით“!
აუ ყოველ მარე თავისუფალ არსებობასთვის და-

რაზმა საქიროა კულტურული გეროპის ერთადის. — ნათელია რომ აზიურ ერებთან შემორტყნულ საქართველოს სამშობლოს იცყარულის ცეცხლით ანთება უფრო უმართებს.

იყო დრო, როდესაც საქართველოში, საქართველოზე თაბარაკს ბერი არ საქართველოდა. ამ დროს ამჟამად და ქიდ უხრეოდ ერთადერთი საქ გროვ. — დემოკრატიული აზროვნების ახალგაზრდობა, დაშორებული სოციალისტური ლოზუნგებს გაჰქოდა: „დიდება საქართველოს“!

დრონი იცვლინ. დღეს ბერმა იბრუნა პარი სამშობლოს სიდიდელად, მაგრამ „დიდება“ მათი ნაცარ მიყრილია.

შესძლოა ეს მთი უჩვეულობით აიხსნიბოდეს. მაგრამ როგორც უნდა იყოს ერთი (ანდია: ს მშობლოს სიყვარულით ანთილი ახლოგ ზრდობა ამ ჩვენ „მითომიტე უამს“ დროს გირ უ ურიგდობა იმ ჯერ არ ნხოო კულტურულ ქვეყნებში სოციალისტურ ექსპერიმენტებს, რომელსაც ავღი აქის საქართველოში.

ასეთი „არა“ საქართველოს სხეულებზე ჩვენ მიგაჩნა ორგანიზმის დამღუპველია. გინც ასეთ ძნელ მისიას იკისრებს, მან უპირიდეის ყოფილია ადამი ნაზ ბუნების ძირითადი ჭარბაქმენა უნდა შესძლოს; მანაქდის კი ის ახალგაზრდობა, რომელსაც მიზნით დაუსახავს საქართველოს ბედნიერება — მუდ მ იქნება წინააღმდეგი პოლიტიკურ და ეკონომიურ საქითებებში იმ „უცილ“ დასვენებისა, რომელშია, შესაძლოა, მსხვერპლად შეიფიციროს.

117 წლის მონობის შემდგომ იშვი თავისუფლო ახალი საქართველო და ახალი ცხოვრების დასაწყებად საქიროა ახალი ძალა, ძალა სამშობლოს ცეცხლით გახურებულ მამულო შვილიბისა!

ამიტომ ახალგაზრდობას საქართველოს ბეის შექმნა „ახალ ძალით“ რომ ნაციად ბუკს სკიქს, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: ყოველ ქართველში ანათოს სამშობლოს სიყვარულის ცეცხლი და დარაზმის სამშობლოს საღიღობი.

როგორც დაიბრმაგებს თ ეს და გულწრფელ, სურვილის სამშობლოს კეთილ-დღეობისას კლასიურ საზომით ნუ შეიხიბა.

გინადან „შემოქმედებითი ძალა გრ-სა ჰქმნის მის დიდებას“, ჩვენი თვალთა ხედავთ ყოველი ქართველი ამ-სოფის ერთნაირ ღირებულებას წარმოადგენს. გადაქრით ვალიარებთ, რომ სამშობლოს სიყვარულით გატაცებულ ერ, დემოკრატი ახალგაზრდობისთვის ისეთივე ჭვირშახია ყოველ მშრომელ, დაყოყნიანებული ხელები, როგორც ქარხნის ბოლოში გახვეული მშრომებლის კნტორა.

ვისაც სქენა სმენათ შეგარჩენათ შეიგნეთ ჩვენი ნათქვამი და... ამნითე სამშობლოს ცეცხლით.

ბ. გორდენიანი.

დრამატული ხელოვნება და ახალი მსახეობი.

თუ რიცხვისა და ღირსების მხრივ მხედველობაში არ მივიღებთ გ. ჯაბადარის წიგნს „ლიტერატურა და სოციალისტიკის, რომ თეატრის ხელოვნათათვის საქირო ქართლი წყარო ერთიც არა გვაქვს... და, აგრედვი, თუ ამ დარგისათვის საქირო პირთს თვლას დაიწყებთ ხუთი თითი უდავოდ გეყოფად... მართალია, დღეს ჩვენ უკვე ვხედავთ საქართველოში ახალი თეატრის ჩანასახს, მაგრამ რაკი მის შესახებ ჯერ ვერაფერი ითქმის, უნდა გამოვ

ტყდეთ, რომ სამწუხარო მდგომარეობას განვიცდით...

და ეს ვარემოება არც გვიკერს, რადგან ამის მიზეზები ბევრია: ომი — თავის საზარელი ქართველით, რომელმაც მოგვესპო და გავგანიავა; ბევრობითუცა, მიუღი თვისი რღვევის სიძლიერით, რომელსაც ხელოვნებისათვის „არა სცლია“ — და, რაც უფრო უჩინია, ეს სულიერი და ხორციელი მონობა და ქვეშევრდომობა... მაგრამ დღეს კი უნდა ვამედოვნოთ, რომ ხელოვნება, რომელიც სამარადისო რგოლად შექმნილა უხსოვარ დროიდან მარად ტრიალებს და თავის ღერძზე სრბოლას თანდათანობით აძლიერებს; ჩვენს ქვეყანაშიც შექმნის ღეთაებას, სხვა ქვეყნების შესადარსა და სავატიოს... ნურ ვინ ეფიქრებს, ვითომც სხვა და სხვა მიზეზებმა საგნებით შეებრკოლონ მისი მსგელელობა. ისტორიის აუცილებლობას ვერაფერა შეუფერხებს; იგი მიდის და ივლის კრეც დაუსრულობლად.. ასე იყო ყველგან და ასე იქნება ჩვენშიც. ერთის შეხედვით თითქმის ასე არ უნდა მოხდესო. ვგონებთ, რომ თუ ცალ მხრივ სინაზე-სილამაზე და მეორე მხრივ უხეშობა და სიტონქე არიან, რქვი არ არის, სინაზეს დიდი ზარალი მოუყავთ, მაგრამ ეს აზრი მისაღება იქნება მხოლოდ დროის რეაღენობის შინაარსით, საშუალოდ კა მისი შესაძლებლობა უსაფუძვლოა. დრამატურებმა ზუდერმ ნა თავის დრ. „სამშობლოში“ სთქვა: „გზაცა და სიმეატრე თითქოს ერთ-ერთს ეწინააღმდეგებიან, მაგრამ, ნმდვილად კი მათში მშვენაერი ჰარმონია არისო“ — და ეს ციტატა ამტკაცებს, რომ ან ორი მოპირდაპირე ძალის დაპირისპრებას დრ-საც კი სასიამოვნო სოლიდარობა ყოფილა.

სხვა ფრეე შეუძლებელიც არის... ხელოვნების ძლიერება სწორედ იმაშია, რომ იგი დროის ვარეშ სდგას, ე. ი. მისი აპარეზი ყოველ დრ-სა და ვარემოებას იტევს ჩვენ ვიცით რომ ქვეშარტი ხელოვნების დანიშნულება სინამდვილის ბუნებრივად გამოსახვა... აქედან ცხადია, რომ იგი რეალობის სარბიელზე სხვათაგან მიუწვდენელს უნდა ჰფობდეს და მის პარვეო გამომსახველად ისახებოდეს. ერთ ერთ ჩემ წერალში თეატრის შესახებ (იხ- ჟურ. „თ. და ცხ.“ 1917 წ. № 11) ვამბობდი: „ხელოვნების ყოველ დარგში, თუ იგი ღირსებულად შექმნილია, სინამდვილე ისახება. ხელოვნება სხვა იმ უკვდავებისა, რომე-

ლიც სინამდვილის სამოსლით გვევლინება. თუ სინამდვილე მშრალია, ე. ი. თუ მისი უმადგენლობა რაიმე მაღალ მხატვრულს, წყურვლი-სამკვლელს არ წარმოადგენს, — სამ.გიგორდ, ხელოვნება თვით ამ სიმშრალის გამანაყოფიერებელია, ხელოვნება თვით ამ მშრალი ფაქტს იარაღად იყენებს და ჰქმნის უზენაესს, ჰქმნის უკვდავებას, რომლის დანაფემა უფრო მეტსა და მეტ მშვენიერებას გასწვნივბთ, უფრო მეტს აღფრთოვანებას განატარებთ“.

ეს საზოგადოდ ხელოვნებაზე.

დრამატული ხელოვნება კი, რომელიც ხელოვნებათა შორის უუძვირფასესია, არის ისეთი ახელი, ურომლისოდ გმირის ცხოვრება არა-რა იქნებოდა. დრამატული ხელოვნების დღევანდელი ვითარება უსათუოდ წინააღმდეგობითია... და ამ წინააღმდეგობაში უდავოდ ახალის შექმნის მისწრაფება, მმარჯვებს...

თუ წინად თეატრალიობის მიზანს მდგომარეობის ზღაპრული გადმოცემა ახასიათებდა, დღევანდელი განვითარებული გონებისათვის იგი დასაყვებულად ითვლება.

თუ აღრინდელი დრამატურგის დანიშნულება იყო სწრაფვა ხალხის გონებისა და სულის სიტყვიერა ქადაგებით ამაღლებისაკენ, დღევანდელ პირობებში ეს მეთოდი უვარგისია.

თუ წინანდელი მსახიობი ხალხის ზნესა და ჩვეულებას, მის სულის საღაროს ხელ-ფეხს ქნევით, სახის მანქვა გრეხითა და გადაქარბებულის პათოსით ამქდავენებდა, დღეიდან იგი მოსაწყენათ და შესაზარ-დამახინჯებლად ითვლება...

აი, სწორედ ამ სიგრცეზე მისკურავ, დრამატული ხელოვნების ახალი შენება... და თუ იგი ჯერ გზის ბოლოს ვერ ჩასულა, ეს იმიტომ. რომ სხვა და სხვა, ერთი მეორისაგან დაპოკიდებულ პერიოდებისაგან შესდგება, — და მათი უცებ განვითარება კი, ცოტა არ იყოს, ძნელია...

ამ დარგის ძირითადი საფუძველია თეატრი — როგორც ზოგადი მცნება, — ხელოვნების მთავარ ნაკვთაგანი; აქურუში, — როგორც შემომქმედი და გადმოცემი ცხოვრების ფურცლებისა, როგორც შემოსაქმნისა...

თეატრი ხომ მთელი ხალხის კულტურისა და მისი ეროვნულ-ორგანიული სიძლიერის სახეა, — მაშასადამე მისთვის საკმეველი გრძობის პატრონიც დიადი დანიშნულებისა ყოფილა...

უამრავი წლების ძველი უღლის ქვეშ დახვსებული, სალი ცხოვრებისათვის მიუღებელ ქურქში გახვეული მს.ხიობი, როგორც მთავარი რგოლთაგანი დრამატულის ხელოვნებისა, ახალ „ათ მცნებას“ იზარებს...

ეს ბუნებრივია...

სცენის სივრცის მფლობელი სცენას მხად არ უნდა ევლინებოდეს; სცენის რამზა ოდნადაც არ უნდა გვყოფოდეს იქეთ მხარეებად, რომ ვინმემა სთქეს: აქ თავდება მაყურებელთა სულს განცდა და აქედან წყება გრძნობა, რომელიც მაყურებლისათვის უცხო და მიუწვდომელია პირაქით ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი და ყოველი უბრალო ქესტი — უმშვეფო ქმნილება, უნდა იყვეს გასაგებ დ იმისა, თუ რის გადმოცემა სურს სცენის ქურუმსა... არ უნდა იყვეს განსხვავება სულისიმ ბუნებრივ ვითარებაში რომლითაც თეატრის კედლებ გარედ მაყურებელი სკოცხლობდა, და რომელსაც სცენის მალლობადან იპავ მაყურებელს უჩვენებენ. მსახიობი უნდა იძლეოდეს იმას, რაც ნახა, რაც ხალხმა მისცა, რაც ყველა არსების გრძნობაში ვითარდება, — და არა იმ გადაქარბებულ სურათებს, რომლის მოწამეც არავინა ყოფილა.

იგი როგორც ქეშმარტი ხელოვანი, უნდა გვიდგენდეს მთლიან ფიგურას იმისას, რაც ხალხში ნაწილ-ნაწილად არს გაფანტული; იგი უნდა გვევლინებოდეს ჩვენი ცხოვრების, ჩვენი გრძობისა და ჩვენი, ასე გასინჯეთ, ხორცის გამომ.ახველიც... ყველა ამისათვის კი, ცხადია, საჭირო ყოფილა ახალი შეგნება და ახალი გზა ძველის მაყურებლისათვ ს... „Абсолютной правды въ игръ актера, — вотъ чего требуетъ современная драма“. სხარტად და ლამაზდ აზობს პში-ბიშევსკი, და ეს მისი თქმა ახალი სკოლის ძიების ნამდვილი სიგრცეა...

ეს ახალი მიმდინარეობა, ახლი სკოლა დრამატულ ხელოვნებას უფრო ასადებს და ანვითარებს ხალხის შეგრძნობა-შემეცნებას. რამდენადაც სადმე ჩქარის ტემპი გამართება სგი, იმდენად დაწინაურდება თვით მისი ქვეყანაც... ეს კი ნაღდი საწინდარია იმისა, რომ რომელიმე დაქვეითებული ერი ასეთის განვითარებით სხვა კულტურულ ქვეყნებს გვერდში მალე ამოუდგება. თუ, მაშასადამე, ეს ასეა, — მაშინ მეტი ცდა მისი ნაბი-

ქალაქებსა და ზროვინციასში მეოთხე პარტიულ ამხანაგებსა ვსთხოვთ, მოგვაწოდონ წერილები და მსახლები.

ჯის დაქარბისათვის... აქას ქართველმა ერმაც უნდა მიაღწიოს...

და თუ აღმოჩნდ ბა ვინმე ისეთი, ვინც ახალი მამართულების მრწ მას არ გაიზიარებს, მაშინ თვატრალეებს გზად უნდა ჰქონდეთ ნიცუმს-ზარატუსტრის სიტყვები: „მე კანონი ვარ მხოლოდ ჩემებისათვის; მე ყველასთვის არა ვარ კანონი.“

მის. კიაზოშვილი.

სახელგაფიფო

უნივერსიტეტ ი...

„აწმყო-მომავლის ხილია“.

ჩვენს სამშობლოს ელირსა ტაძარი მეცნიერებისა, რომელსაც გაისმის სიტყვა ქართული რომელშიაც ჰქალაქდებენ მეცნიერი ქართველი და რომლის კედლებს შორის ქართველი ახალგაზრდობა მომავალ მუშაობისთვის ემზადება.

სარბიელი ფართია, საქმე აუარგებელი, ბრძოლა კულტურული დიდი დასკირდება ახალგაზრდობას, მაგრამ მას ამ ბრძოლასა არ ეშინიან, ვინაიდან პერსპექტივებში სდგას ნათელი სანახაობა: ბედნიერი საქართველო.

უნივერსიტეტში მუშაობის სიმშურვალე თანდა თან ზევით იწევს. ენერჯია დიდი აქვთ დაგროვილი, როგორც პრიფესორებს, ისე სტუდენტობას. ლექციების კითხვა სუყველა ფაკულტეტებზე დაიწყო...

პროფესორების შემადგენლობა, მსმენელთა მიერ საგნებისადმი სინპატი, თავდებია იმისი, რომ ეს წლები ჩვენთვის უწყალოდ არ ჩაივლიან.

დღეს მოხდება არჩევნები სტუდენტთა საერთო გამგეობისა (25 კაცი) რასაკვირვე-

ლია ყველა პარტიები ირაზმებინან, ჩვენც ეროვნულ—დემოკრატებს, რამდენჯერმე გავკონდა კრება ამის შესახებ. ჩვენი მიზანია შეთანხმებით ვიმეშაოთ ყველა პარტიებთან, საერთო სტუდენტთა საქმეებში. ამ მხრივ ჩვენ თვალსაჩინო ნაბიჯები გადავდგით, და მე მგონია, რომ ამ ნაბიჯებმა კარგი ნაყოფი უნდა მოიტანოს. როგორც ზევითა ვსთქვი, საქმე თანხმობით თავდება და საარჩევნო აგიტაციას, ამაზე ენერჯიის და დროის დაკარგვას ადგილი არ ექნება, მით უმეტეს რომ ეს ენერჯია და დრო უმაღლეს სასწავლებელში სულ სხვა რამეზე უნდა იყოს დახარჯული და განაწილებული. მაგალითად—ყველა ფაკულტეტთან არსდება სამეცნიერო წრეები. ამ წრეებში დიდი და სიმპტიური მიზნები დაისახეს. ამ წრეებში უპირველესად ყოველისა უნდა გამოხსენ პროფესორების მიერ წაკითხული ლექციები ეს უდიდესი საქმეა, ვინაიდან ამ ეამად თბილისში არავითარი წიგნები არ მოიძებნება.

ვინც ახლო სდგას სტუდენტების ცხოვრებასთან, დამეთანხმება, რომ ამ ლუბკირ დროს მას ნამეტნავად უჭირს თბილისში ყოფნა და წასვლა. ორმოცი პროცენტი ქართველი სტუდენტობისა მოკლებულია შესაძლებლობას გმსახუროს სამშობლოს და თანაც პატიოსანი შრომით ლუკმა პური სქამოს და სწავლა განაგრძოს.

ლექციებს ვარეშე ხალხიც ვსწრობა... ეს ძალიან კარგია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს ვარეშობეა სტუდენტის პირ და პირ მოვალეობის ასრულებას ძალიან ხელს უშლის.

ერთი სიტყვით, ჩვენი ცდა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ მეტი შეძლება აღმოგვიჩდეს სამეცადინოთ... მართალია, პირველი წლები ძალიან ვაგვიკარდება, მაგრამ სამშობლო მსხვერპლს მოითხოვს, და ჩვენი ახალგაზრდობაც მის კეთილდღეობას, მტლად უნდა დაედოს, რათა მომავალ თაობას მისცეს უმაღლესი სასწავლებელი, უნაკლებო და ევროპიულად დასრულებული ..

ბოზლი.

ინსტრუქცია

ეროვ. - დემოკრატი. ახალგაზრდათა ორგანიზაციებისა.

ტები ეწვეიან, უსახსრობის დროს ცენტრალ კომიტეტს სთხოვენ, იგი კი, თუ არა აქვს, მთავარ კომიტეტს მიჰსაძავს.

შენიშვნა: მოთხოვნა დ საბუთებელი უნდა იყოს.

1. მთელი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ ახალგაზრდობას ჰყავს თავისი მთავარი კომიტეტი, რომელსაც ირჩევს ახალგაზრდა კონფერენცია და რომელიც თბილისში ბინადრობს.
 2. საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში არსებობს ახალგაზრდათა ორგანიზაციები, რომლებიც ექვემდებარებიან მთავარ კომიტეტს...
 3. დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციითა ცენტრალ და მთავარ კომიტეტთან მათ შუამდგომლობა ითვლება ქუთაისის კომიტეტი.
 4. აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალ იგივე მთავარი კომიტეტი ითვლება, ხოლო ამის გარდა თბილისში არსებობს მოწაფეთა ცენტრალი კომიტეტი, რომელიც მოწაფეთა ადგილობრივ წვრილ კომიტეტებს მთავარ კომიტეტთან აერთებს.
 5. ორგანიზაციებში წევრად ჩაწერვა შეუძლიან პარტიის პროგრამის მაღარებელ უკუჯა ახალგაზრდას (სტუდენტს, მოწაფეს, არასტუდენტს, არმოწაფეს და სხვ. განურჩევლად სქესისა), ვინც ჩვენი პარტიის სხვა ორგანიზაციაში არა სწეია, ან, თუ სწეია, ამოეწერება.
- შენიშვნა:** ჩაწერის დროს საჭიროა თავმდებარეთი წევრი.
6. ყველა წევრი იხდის საწევროს თვეში 1 მანეთს.
 7. დასავლეთ საქართველოს კომიტეტები თავისი ყოველგვარი შემოსავლის ნახევარს უგზავნიან ქუთაისის ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო ეს კი მთავარ კომიტეტს თავის შემოსავლის 25% უგზავნის.
 8. აღმოსავლეთ საქ. კომიტეტები მთავარ კომიტეტს უგზავნიან შემოსავლის ნახევარს.
- შენიშვნა:** თბილისის მოწაფეთა კომიტეტები თავს ცენტრალ კომიტეტს შემოსავლს უგზავნიან მთლიანად, ხოლო ეს კი მთავარ კომიტეტს შემოსავლის ნახევარს ძღვეს.
9. საჭირო ხარჯებს ადგილობრივი კომიტე-

გერმანია ოსმალეთის აზგუბი.

ეს რამდენიმე დღეა გერმანიაში დიდი რევოლუცია დაიწყო.

ვილჰელმი ტახტიდგან გადადგა.

ახალ რევოლუციონურ მთავრობას სათავეში მემარჯვენე ებირტი ჩაუდგა; შემდეგ კი შესდგა ახალი მთავრობა დამოუკიდებელთა და შეიდგინელთა მეთაურობით.

ბერლინში და სხვაგან მუშათა და ჯ.-კ. საბჭოები შესდგა. მოხდა აგრედვე სრულიად გერმანიის საბჭოთა ყრილობა.

გინდენტურგი ისევ თავის პოტუხეა და მთავრობის თანხმად მოქმედებს.

გერმანიაში სემედრო საბჭოს მობილიზაცია ხდება.

დროებითი ზავის მიხედვით ტერიტორიულურ საკითხს გარდა, გერმანიის მოკავშირეებისათვის უნდა გადაეცა 5000 ზარბაზანი, 30000 ტყვი სმურქვეველი, 3000 ნაღმისფრქვეველი და 2000 ჰაეროპლანი, — მგრამ ახლა კი გამოქვეყნდა 35 მუხლიანი ახალი საზავო პირობა, რომელიც უფრო შემსუბუქებელია.

გერმანიის მთავრობამ შეერთებულ შტატების მთავრობას გაეგზავნა ნოტა, რომლითაც სთხოვს საზავო მოლაპარაკების დაჩქარებას და მისთვის დგილისა და დროს დანიშნავს.

რუმინიამ გერმანიის ომი გამოუცხადა.

სტამბოლში არეულობაა... იქ შესდგა თევრიკ-ფაშის ახალი კაბინეტი, რომელშიც „პროგრესისა და ერთობის“ ერთი წევრიც არ შედის.

ენვერ-ფაშა და თალათ ფაშა სტამბოლიდან გაიქცნენ...

შალვაშვილი და პროვინციური მუშა პარტიულ ახანაგებს ვსთხოვთ

მოგვანდომონ საჭირო წერილები და მასალები.

ჩვენს პარტიაში

— ღღვიდან იწყებს გამოსვლას კოფუნულ-დემოკრატ ახლგაზრდათა მთავარი კომიტეტის ორკვირეული ყურნალი „ახალი დღა“, რომელსაც ხელმძღვანელობს კომიტეტის მიერ არჩეული სრულაქციო კოლეგია. ახლგაზრდათა მთავარი კომიტეტიცა და ყურნალის რედაქციას იმყოფება პარტიის მთავარი კომიტეტის ბინაზე.

— ახლგაზრდათა მთავარი კომიტეტი სთხოვს ჩვენი პარტიის ყველა წევრებს, რომ მათ პოლიტიკური ხასიათის წიგნები შემოაწირონ ახლგაზრდათა წიგნთ-საცავს (ბიბლიოთეკას).

— ჩვენი პარტიის სტუდენტთა, მოწაფეთა და სერთოდ ყველა ახლგაზრდათა საყურადღებოდ მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ ყველგან დაჩქარებულ უნდა იქმნას ხელახალი რეგისტრაციის მოხდენა. თუ რომელიმე სასწავლებელში, ან სხვაგან, კომიტეტი არ არსებობს, მაშინ ახლგაზრდათა პირდაპირ მთავარ კომიტეტში უნდა ჩაეწეროს.

— სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში არსებული ჩვენი პარტიის ახლგაზრდათა კომიტეტებმა მთავარ კომიტეტთან კავშირი უნდა დაიკვიონ თანახმად იმ ინსტრუქციისა, რომელსაც კომიტეტებს დაეზაინა და რომელიც ამ ყურნალშია დაბეჭდილი.

— სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა საქართველოს საზავო დელეგაციისა და პარლამენტის წევრი ეროვ. დემოკ. გიორგი გვაზავა, რომელმაც პარტიის მთავარ კომიტეტში შეტად საინტერესო მოხსენება წიკითხა სტამბოლში მუშაობის და იქ მომხდარ ცვლილებებს შესახებ.

— მოუწოდებთ პარტიულ ახანაგებს რაც შეიძლება ახლის ენერგიითა და აღფრთოვანებით შეუდგნენ პარტიულ მუშაობას და პარტიული ცხოვრების შესახებ გვიგზავნონ უტყუარი ცნობა-წერლები, რომლებსაც ჩვენ ყურნალში სიტყმატიურად მოვთავსებთ.

— დღეს, კვირას, საზოგადო კრების წინ საღამოს 4 საათზე მოხდება თბილისის მოწაფეთა ცენტრალ კომიტეტის კრება, მთავარ კომიტეტის ბინაზე.

რედაქტორი—კოლეგია.

5 984 d
1918

ჩვენს რედაქციაში შეიძლება გამოწერა ყო-
ველდღიურ პოლიტიკურ გაზეთ

ამ მოკლე ხანში გამოვა

ა. ასათიანის

წიგნი

„საქართველო“-სი

მიწიერ საკითხი

საქართველოში

ვეკებ ამხანაგს

ფრიად სასარგებლო საქმეში, მინდა მოვაწყო
სტამბა, მაქვს ყოველი სასტამბო მოწყობილე-
ბა, გარდა მაშინებსა, მსურველთ შემიძლიან
დაუთმო ყიდვითაც და ბინითაც შეტად ხელ-
საყრედ ფ.სში. მისამართი: ველიამინოვის ქუჩა
სახლი № 3, პან. ბასტიანოვი.

ახლად მოწუოვ. სტამბა „სალონება“

თბილისი, ველიამინოვის ქუჩა, № 20.

ღებულებს უოველგვარ სასტამბო საქმეებს
სელქისაწვდენ ფასებში.

დაეხმარათ

ქართულ თეატრს

და უნივერსიტეტს

უნიკინათ ბილეთები!

ბილეთების უბეან უნიკლუგა ჩვენს ბიუროში

(სახსლის ქუჩა № 5)